ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

ნერილის ნომერი: **10-0120217918**
თარიღი: **04/08/2020**
პინი: **8545**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს თბილისის ტურიზმის ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404905910
მისამართი: ქ.თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება №2

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 13 აპრილს თქვენ მიერ წარმოდგენილ №10/01201041446-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2020 წლის 31 ივლისის №952 ბრძანების სახით.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
405026877

დავით ფოცხვერაია

იურიდიული საქალაქო სამსახური-ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება № 952

„31" ივლისი 2020 წ.

შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრის" დირექტორის, ზურაბ ფავლენიშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

2020 წლის 13 აპრილს შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრის" დირექტორმა, ზურაბ ფავლენიშვილმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა №10/01201041446-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში - ,,მუნიციპალური ინსპექცია") 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 26 ივნისს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორი, შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრის" დირექტორი, მალხაზი ფავლენიშვილი და მოწინააღმდეგე მხარის, მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი, რუსუდან სულამანიძე და სპეციალისტი ანა თევდორაძე.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილება მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა ადმინისტრაციული საჩივარი და მოითხოვა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილების ბათილად ცნობა.

მოწინააღმდეგე მხარის, მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური“) 2015 წლის 6 თებერვლის №1718798 ბრძანებით დაკმაყოფილდა მალხაზი ფავლენიშვილის 2014 წლის 1 დეკემბრის №AR1269858 განცხადება და ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა, შეთანხმდა შპს „თბილისის ტურიზმის ცენტრის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 6 თებერვლიდან 2018 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2018 წლის 27 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (შემდგომში- „ზედამხედველობის სამსახური“) №22/01180862005-17 განცხადებით მიმართეს ზურაბ ფავლენიშვილმა და მალხაზ ფავლენიშვილმა და მოითხოვეს ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა -შენობა-ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისის განხორციელება, კერძოდ, 2 (ორი) შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2018 წლის 2 აპრილის №17-01180924321 წერილით ზედამხედველობის სამსახურმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-97 დადგენილებით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული წესის შესაბამისად გამოთქვა თანხმობა, რომ ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის

ნაკვეთზე განახორციელოს სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია საჭიროების შემთხვევაში.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მალხაზი ფავლენიშვილმა 2018 წლის 10 აპრილის №19/01181002717-17 განცხადებით მიმართა მუნიციპალურ ინსპექციას ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მოთხოვნით.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 8 ოქტომბრის №17-01182814024 წერილით მალხაზი ფავლენიშვილის მიეცა რეკომენდაცია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა (წარმოედგინა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1718798 (№AR1269858) ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამუშაოები.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 8 ოქტომბრის №17-01182814024 წერილი მალხაზი ფავლენიშვილმა ჩაიბარა, პირადად, 2018 წლის 2 ნოემბერს.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №4431144 ბრძანებით დაკმაყოფილდა მალხაზი ფავლენიშვილის 2019 წლის 26 თებერვლის №AR1664025 განცხადება და ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა , №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 17 აპრილიდან 2020 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ მალხაზი ფავლენიშვილის 2018 წლის 10 აპრილის №19/01181002717-17 განცხადების საფუძველზე მეორედ განახორციელა სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება და 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით გასცა შესაბამისი რეკომენდაცია. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლის

შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა (წარმოედგინა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა , №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №4431144 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტი 2019 წლის 6 ივნისს გაიგზავნა ფოსტით, რომელიც მხარეს არ ჩაბარდა და დაბრუნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტი მალხაზი ფავლენიშვილმა ჩაიბარა, პირადად, 2020 წლის 13 აპრილს, რაც დასტურდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს-მომსახურების ცენტრების მართვის სამსახურის დოკუმენტის გაცემის ბარათით.

უდავო 2020 წლის 18 მარტს ზურაბ ფავლენიშვილმა განცხადებით მიმართა მუნიციპალურ ინსპექციას ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მოთხოვნით.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 8 აპრილის №000166 შემოწმების აქტით დაფიქსირდა, რომ შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრის“ მიერ დარღვეულია არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №4431144 ბრძანებით გათვალისწინებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილებით შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრი“ დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში, №4/ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისში №2ა /ქ. თბილისში დასახლება ზემო ვეძისში №3ა №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის დარღვევით III კლასის ობიექტის (სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკი) მშენებლობისთვის.

სადავო დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო უთითებს 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტის გამოცემის დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების

(შემდგომში - „№57 დადგენილება“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია: „უზრუნველყოს სანებართვო პირობების შესრულება“.

№57 დადგენილების 74-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ სანებართვო პირობებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ეკისრება მშენებლობის ნებართვის მფლობელს III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში. კერძოდ, მითითებული პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია ,,აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე. ამავე დადგენილების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „დამკვეთს მისთვის დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან დარღვევით შესრულების შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების საფუძვლად კანონმდებლობა იმპერატიულად მიიჩნევს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანებართვო პირობების დარღვევით ადგილი ექნება სამშენებლო სამართალდარღვევას, რისთვისაც პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება.

2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შესაბამის ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში თუკი დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას, ასევე სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისთვის.

ამავე კოდექსის 25[1] მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გასცემს რეკომენდაციას, რომლის შესასრულებლად დამკვეთს განუსაზღვრავს არანაკლებ 30 კალენდარული დღის ვადას. რეკომენდაციის შესრულების ვადის გასვლამდე დამკვეთის მიერ დასაბუთებული განცხადების წარდგენის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 120 კალენდარულ დღემდე. დამკვეთი უფლებამოსილია სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების

ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს სამშენებლო დოკუმენტში ან/და უზრუნველყოს მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობა. რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება. რეკომენდაციის შესრულების ვადის არა უმეტეს 120 კალენდარულ დღემდე გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან 15 დღეში“, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „ამ მუხლით გათვალისწინებული რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას ამ კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული წესით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესი ვადაზე ადრე არ წყდება და დამკვეთი უფლებამოსილია ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად ისარგებლოს მშენებლობის შემოწმების დარჩენილი რაოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნის უფლებით.“

ხსენებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გასცეს რეკომენდაცია განსაზღვრული ვადით, რომლის განმავლობაშიც სამართალდამრღვევი უფლებამოსილია არსებული დარღვევები ასახოს სამშენებლო დოკუმენტში ან/და უზრუნველყოს მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობა. აღნიშნული რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კი მუნიციპალური ინსპექცია კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს შემოწმების აქტის შედგენით.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შორის აღინიშნა, მალხაზი ფავლენიშვილმა 2018 წლის 10 აპრილს №19/01181002717-17 განცხადებით მიმართა მუნიციპალურ ინსპექციას საპროექტო ობიექტზე პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით განმცხადებელს მიეცა მეორე რეკომენდაცია 120 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა (წარმოედგინა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №4431144 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით განმცხადებელს განემარტა თუ რაში გამოიხატებოდა დარღვევის არსი და მიეცა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ვადა ადმინისტრაციული გადაცდომის გამოსასწორებლად, რაც გამოიხატება იმაში, რომ შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრს" 120 კალენდარული დღის ვადაში უნდა გამოესწორებინა (წარმოედგინა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა ან ადგილზე გამოესწორებინა პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები) №01.10.18.009.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №4431144 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნავს, რომ მხარისათვის მის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით არსებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, კერძოდ, მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტის ჩაბარება სავალდებულოა, რადგან სწორედ ჩაბარების ფაქტს უკავშირებდა კანონმდებლობით განსაზღვრული 120 დღიანი ვადის ათვლა.

საქმის მასალების არსებული დოკუმენტაციით კი დგინდება, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტი შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრს" გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით 2019 წლის 6 ივნისს, რომელიც მხარეს ჩაბარდა 2020 წლის 13 აპრილს. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით გათვალისიწინებული 120 დღიანი საშეღავათო ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო ჩაბარების მეორე დღიდან, კერძოდ, 2020 წლის 14 აპრილიდან და მხოლოდ აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სადავო აქტის ადრესატის მიმართ დაწყებულიყო სამართალდარღვევის საქმისწარმოება და გამოცემულიყო სათანადო სამართლებრივი აქტი.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ფაქტობრივ გარემოებებს შორის აღინიშნა მუნიციპალურმა ინსპექციამ 2020 წლის 8 აპრილს №000166 შემოწმების აქტის შედგენით დაიწყო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, იმ პირობებში როდესაც მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით გათვალისიწინებული დარღვევების გამოსწორების თაობაზე საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა 2020 წლის 13 აპრილს. ამგვარ პირობებში, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ დამკვეთი მოკლებული იყო შესაძლებლობას საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული დარღვევები მითითებული ვადის (120 დღე) ფარგლებში აესახა სამშენებლო დოკუმენტში ან/და მოეხდინა მშენებლობის კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობა და აღნიშნული

რეკომენდაციის შესრულების პირობებში თავიდან აერიდებინა სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყება.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, კერძოდ, შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრის" მიმართ ისე დაიწყო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, რომ სადავო აქტის ადრესატი არ იყო ინფორმირებული 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით გაცემული რეკომენდაციის თაობაზე, რაც შესაძლებელს გახდიდა კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში გამოესწორებინა პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს". ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სადავო აქტის გამომცემმა ორგანომ ისე დააკისრა პასუხისმგებლობა შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრს", რომ მისთვის ცნობილი არ იყო 2019 წლის 5 ივნისის №17-01191561525 აქტით გათვალიწინებული დარღვევების თაობაზე, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ აღნიშნული აქტი მხარეს ჩაბარდა 2020 წლის 13 აპრილს. ამგვარად, სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო 2020 წლის 14 აპრილიდან 120 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში იქნებოდა მხოლოდ უფლებამოსილი დაეწყო სამართალდარღვევის საქმის წარმოება და დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, გამოეცა სათანადო ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა შპს ,,თბილისის ტურიზმის ცენტრს" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილების საფუძველზე, რაც მის კანონსაწინააღმდეგო ხასიათზე მიუთითებს და წარმოშობს ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება

კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და შესაბამისად, არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1], 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „თბილისის ტურიზმის ცენტრის" დირექტორის ზურაბ ფავლენიშვილის 2020 წლის 13 აპრილის №10/01201041446-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 8 აპრილის №000166 დადგენილება.
3. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191561525**
თარიღი: **05/06/2019**
პინი: **4099**

ადრესატი: მალხაზი ფავლენიშვილი
პირადი ნომერი: 01009011590
მისამართი: ბოლნისი ს. ბალიჭი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ბატონო მალხაზ,

თქვენი N19011810012717-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი საბუთალო, ზემო ვეძისის დასახლება N4/ ზემო ვეძისის დასახლება N2ა/ზემო ვეძისის დასახლება N3ა-ში (საკ. კოდი N01.10.18.009.187) 2019 წლის 17 აპრილის N4431144 (AR1664025) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის არღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ტერიტორიაზე მდებარე მონოლითურ კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. -3.00 ნიშნულზე „8" ღერძის გარეთ დამატებულია მონოლითური ფილა ლითონის მოაჯირით. მონოლითური კედლები პროექტში არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით.

-6.00 ნიშნული: გაუქმებულია კიბის უჯრედიდან ავტოფარეხში გასასვლელი კარი. „ქ" ღერძზე „9-10" მონაკვეთში მოწყობილია კაპიტალური კედლები და შემცირებულია პანდუსითან დამაკავშირებელი ღიობის სიგანე.

ფასადი „8-10": „9" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა და დამატებულია წყალსაწრეტი მილი.

„ქ-უ" ფასადი: შეცვლილია აივნის მოაჯირების ნახატი. +3.20 ნიშნულზე „უ" ღერძის გარეთ შემცირებულია ღიობის სიმაღლე.

ფასადი „10-8": -1.90 ნიშნულზე „10" ღრძთან გაზრდილია ბაქნის სიგრძე. „9-8" მოანკვეთში დამატებულია წყალსაწრეტი მილი.

ფასადი „უ-ქ":ნაწილობრივ შეცვლილია ვიტაჟების ნახატი.

ჭრილი „1-1": -3.00 ნიშნულზე „უ" და „ქ" ღერძების გარეთ არ არის დატანილი რიგელები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

დოკუმენტის გაცემის ბარათი

დოკუმენტი

წერილის ნომერი: 17-01191561525
წერილის თარიღი: 05.06.2019 12:55

საფუძველი

განცხადების ნომერი: 19/011810027l7-17
განცხადების თარიღი: 10.04.2018 17:26

განცხადება/ნომენკლატურა

მუნიციპალური ინსპექცია
შენობა - ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისი
ქვითრის წარმოდგენა

წერილის გამტანი პირი

მალხაზი ფავლენიშვილი
პირადი ნომერი: 01009011590

ხელმოწერა:

რეგისტრატორი

ცისანა ქიზიყურაშვილი
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო - მომსახურების ცენტრების მართვის სამსახური - მომსახურების ოფიცერი
გაცემის თარიღი: 13.04.2020 15:31

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000166

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 8 ოქ 20ნ

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

შემოწმებით დადგინდა: _____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

№000166 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი და ნაწილობრივ ლითონის მოაჯირები. მონოლითური კედლები პროექტში არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. **-6.00 ნიშნული:** გაუქმებულია კიბის უჯრედიდან ავტოფარეხში გასასვლელი კარი. "ქ" ღერძზე "9-10" მონაკვეთებში დამატებულია კაპიტალური კედელი და შემცირებულია პანდუსთან დამაკავშირებელი ღიობის სიგანე. **-3.00 ნიშნული:** "9" და "ქ" ღერძების კვეთაში შეცვლილია კედლის ფორმა. **ფასადი "ქ-უ":** შეცვლილია აივნის მოაჯირების ნახატი. +3.20 ნიშნულზე "უ" ღერძის გარეთ შემცირებულია ღიობის სიმაღლე. **ფასადი "10-8":** -1.90 ნიშნულზე "10" ღერძთან გაზრდილია ბაქნის სიგრძე. დამატებით მოწყობილია წყალსაწრეტი მილი. **ფასადი "უ-ქ":** ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. **ჭრილი "1-1":** -3.00 ნიშნულზე "უ" და "ქ" ღერძების გაერეთ არ არის დატანილი რიგელები.

უფროსი სპეციალისტი / გ. ეთერია /

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-ს/0549-20

"08" 04 2020 წ.

დადგენილება №000166
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

08.04.2020წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე, 2020 წლის 8 აპრილის №000166 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი"-ს** (ს/ნ №404905910; დირექტორი - მალხაზ ფავლენიშვილი, ზურაბ ფავლენიშვილი; მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ., №26, კორპ. 3, ბინა 15) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №4-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №2ა-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №3ა-ში, ს/კ №01.10.18.009.187-ზე, შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი"-ს მიერ, განხორციელდა სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4431144 17.04.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი და ნაწილობრივ ლითონის მოაჯირები. მონოლითური კედლები პროექტში არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. **-6.00 ნიშნული:** გაუქმებულია კიბის უჯრედიდან ავტოფარეხში გასასვლელი კარი. "ქ" ღერძზე "9-10" მონაკვეთებში დამატებულია კაპიტალური კედელი და შემცირებულია პანდუსთან დამაკავშირებელი ღიობის სიგანე. **-3.00 ნიშნული:** "9" და "ქ" ღერძების კვეთაში შეცვლილია კედლის ფორმა. **ფასადი "ქ-უ":** შეცვლილია აივნის მოაჯირების ნახატი. +3.20 ნიშნულზე "უ" ღერძის გარეთ შემცირებულია ღიობის სიმაღლე. **ფასადი "10-8":** -1.90 ნიშნულზე "10" ღერძთან გაზრდილია ბაქნის სიგრძე. დამატებით მოწყობილია წყალსაწრეტი მილი. **ფასადი "უ-ქ":** ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. **ჭრილი "1-1":** -3.00 ნიშნულზე "უ" და "ქ" ღერძების გაერეთ არ არის დატანილი რიგელები.

2020 წლის 8 აპრილს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000166 „სამშენებლო სამართალდარღვევის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01200782083-17 18.03.2020წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №4-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №2ა-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №3ა-ში, ს/კ №01.10.18.009.187-ზე, განხორციელდა სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4431144 17.04.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი" დაჯარიმდეს 10 000 (ათიათასი) ლარით, ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №4-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №2ა-ში /ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, №3ა-ში, ს/კ №01.10.18.009.187-ზე, პროექტის დარღვევით III კლასის ობიექტის (სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკი) მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს „თბილისის ტურიზმის ცენტრი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ასწავლო საგამოძიებლო

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

იურიდიული საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ სერგო ბირკაძეს

მოქ: ბერიაზ ჯავახიშვილის
(პ/ნ: 01009011590)

ტელ: 5(99) 543114

პ/ნ: 01009011590

მის: გზირული, ალ. ყაზბეგის 26. კორპ. 3.
ბ. 15.

განცხადება

მიმდინარეა ჩემ ახლო ნათესავის გარდაცვალება ყვს „ივანეს ხეობის სუნთქვა" (კოდი: 404905910). საქმე ჯანმრთელობის ამბულატორიულ ლაბორატორიაში ჩატარდა 13.04.2020 წელს. ანალიზის პასუხი მზად იქნა 15.04.2020 წელს, ანალიზის ჩატარების ღირებულება 10.000 ლარი შეადგენდა, რომელიც ჩემი ნათესავის ბანკის ანგარიშიდან ჩამოიჭრა. ანალიზის პასუხის მიღების მიზნით ჩემი ნათესავის ნაცვლად ვიმყოფებოდი ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის 26. კორპ. 3. ბ. 15. ანალიზის პასუხის მისაღებად ჩემ მიერ წარდგენილ იქნა ნათესავის პირადობის მოწმობა, ანალიზის ჩატარების ქვითარი და ნათესავის ბანკის ბარათი. ანალიზის პასუხის მიღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ანალიზის პასუხი ნათესავის სახელზე გაიცა, მაგრამ ანალიზის ჩატარების ქვითარზე ჩემი ნათესავის სახელი და გვარი იყო მითითებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემ მიერ ანალიზის ჩატარების ქვითარზე მითითებული ინფორმაციის ანალიზის პასუხში არასწორად ასახვის გამო, ანალიზის პასუხის მიღების მიზნით ჩემ

ಮಳೆ ಅವಾಂತರ ಅಪಾಯದ ಬಗ್ಗೆ ಎಚ್ಚರ

ಮಳೆಯಿಂದ ಸಂಭವಿಸಬಹುದಾದ ಅಪಾಯಗಳನ್ನು ತಪ್ಪಿಸಲು ಸಾರ್ವಜನಿಕರು ಈ ಕೆಳಗಿನ ಕ್ರಮಗಳನ್ನು ಕೈಗೊಳ್ಳಬೇಕು. ಮಳೆಯಿಂದ ಸಂಭವಿಸಬಹುದಾದ ಅಪಾಯಗಳನ್ನು ತಪ್ಪಿಸಲು ಸಾರ್ವಜನಿಕರು ಈ ಕೆಳಗಿನ ಕ್ರಮಗಳನ್ನು ಕೈಗೊಳ್ಳಬೇಕು. ಮಳೆಯಿಂದ ಸಂಭವಿಸಬಹುದಾದ ಅಪಾಯಗಳನ್ನು ತಪ್ಪಿಸಲು ಸಾರ್ವಜನಿಕರು ಈ ಕೆಳಗಿನ ಕ್ರಮಗಳನ್ನು ಕೈಗೊಳ್ಳಬೇಕು.

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 19/01201841190-10
თარიღი: 02.07.2020 13:01
ვადა: 02.08.2020

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

მალხაზი ფავლენიშვილი პირადი ნომერი: 01009011590
მისამართი: ა.ყაზბეგის ქN26, კორპ 3, ბინა N15
საკონტაქტო ინფორმაცია: 599543114;
რეგიონი: ბოლნისი

განცხადება/ნომენკლატურა

იურიდიული საქალაქო სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

აღნიშნულ საკითხზე ითხოვს იურიდუილი სამსახურის გადაწყვეტილებას

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 1
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____

№ 19/01201841
02.07.2020 :